

# საპრეზიუმო

საქართველოს  
საპრეზიუმოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

საპრეზიუმო გაზეთი შაბათი 9 სექტემბერი 2006 №208 (2830)


ფასი 50 თეთრი

## საქართველო — ისლანდია: ტურსერვისი არ იქნება



მურაზ დოლიძე

ვერ ვიტყვით, დღეს ქართველ კალათბურთელებს დიდი ჯახი ელითო, მაგრამ უკიდურესი ჩრდილოეთიდან მზიან თბილისში ისლანდიელები რომ ტურისტებად არ ჩამოვიდოდნენ, თქმა რად უნდა. ევროსაკვალიფიკაციო ტურნირში დაუმარცხებელი საქართველო ისლანდიასთან ისე ვერ გაისეირნებს, როგორც წინა კვირას ლუქსემბურგთან — თბილისში ის გუნდი ჩამოვიდა, ოთხშაბათს რეკვიავიკში ფინელები კინაღამ რომ იმსხვერპლა. ისლანდიელებს არავინ ჰყავთ გამორჩეული, მაგრამ გუნდური თამაშის და ჩრდილოური ცივისსხლიანობის წყალობით მწარედ ჩხვლეტა შეუძლიათ. მას ასე: გორდონ ჰერბერტი და მისი გუნდი მომდევნო გამარჯვების მოლოდინშია. თამაში, ტრადიციულად, სპორტის სასახლეშია, 19 საათზე.



მურაზ დოლიძე

## საქმე! დიღმის ბყეში ხორბებია...

სანაპიროზე მდებარე „დინამოს“ საჩოგბურთო კორტები კარგა ხანია, დაბერდა და ახალ მოთხოვნებს ვერც მარჯანიშვილის ქუჩის პატარა ალაგი პასუხობდა. დღეიდან თბილისში ნაღდი საჩოგბურთო სტადიონ(ებ)ი გვექნება ბევრი კორტით, ლამაზი ტრიბუნებით, მყუდრო გარემოთი. ფული იყოს და, იმის საშუალებაც იქნება, სლემ-მასტერსებზე, ცხადია, ლაპარაკი არ არის, სერიოზულ შეჯიბრსაც ვუმასპინძლებთ. საამისო სარბიელი უკვე ნამდვილად გვაქვს. ამ სარბიელზე დიდი ჩოგბურთელების გაზრდა შეიძლება. ისეთების, ნახსენებ სლემტურნირებზეც რომ ივარგებენ.

ალარც ანრი და ალარც შვეჩენკო, სანაკრებო ტალღამ გადაიარა და ეროვნულ ჩემპიონატს ვუბრუნდებით. დღეს მეხუთე ტურია და ეპიცენტრი უდავოდ ბოლნისშია, სადაც ჩემპიონი „სიონი“ ლიცენზიაშეჩერებული კახა ცხადაძის გარეშე უმასპინძლებს ჯერაც ჩეხთავდაუდგმელ „დინამოს“. აქეთ ჩემპიონი, იქით „დინამო“, მაგრამ ამათ ოთხ ტურში უკვე ორჯერ ნააგეს და დღეს ამადაც იქნება საინტერესო ბრძოლა — სადაა დასაკარგი ქულები... ლიდერი „ამერი“ კი შვიდი არგენტინელით შემატებულ „ბორჯომს“ დაუხვდება, თუმცა სამხრეთამერიკელები გუშინდინ გვიან ჩამოვიდნენ და დალილ-დაქანცულებს, არა გვგონია, მოედანზე გასვლამ მოუწიოთ. ამ ტურში კიდევ რამდენიმე საინტერესო თამაშია, თუნდაც „ზესტაფონში“, სადაც თემურ მახარაძის მესამე ფეროული რედებიუტი შედგება — ქვემოიშერლები ზემოიშერულ საჩხერის „ჩიხურას“ ელიან.


## დაივიწყეთ ანრი და შეპჩენკო ჩხი მოდის პრტი, არბენტინა უვილი



მურაზ დოლიძე

## მოჯის რომ არ დაეკრება

გსურთ, ნახოთ „ინტერი“ — „იუვენტუსი“, „მილანი“ — „იუვენტუსი“, „რომა“ — „იუვენტუსი“ ან „ლაციო“ — „იუვენტუსი“? უკაცრავად, მაგრამ ლუჩანო მოჯი პაიერლუივი პაიერეტოს უკვე დაურეკა და ისეთები უთხრა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი წყვილები 2006-07 წლების სეზონში ერთმანეთს ვერ შეხვდებიან. „იუვეს“ ყოფილ გენერალურ დირექტორ მოჯის ხუთი წლით აუკრძალეს ფეხბურთში საქმიანობა, მსაჯთუხუცესი პაიერეტო თანამდებობიდან მოისროლეს და ამ ორი კაცის შავბნელი საქმეების გამო ქომავს კარგი ფეხბურთის ულუფა მოაკლდა — „იუვენტუსი“ სერია B-შია და დღეს სერია A მის გარეშე იწყება. შეგახსენებთ, რომ მოჯი პაიერეტოს მისთვის სასურველი მსაჯების დანიშნვას სთხოვდა „იუვეს“ მატჩებზე და სკანდალიც აქედან აგორდა. კალჩოპოლის ტრიბუნალმა გვარიანი სანერვიულო გაუჩინა კიდევ ოთხ გუნდს: „მილანი“ მინუს 8, „ლაციო“ მინუს 11, „რეჯინა“ მინუს 15 და „ფიორენტინა“ მინუს 19 ქულით დაიწყებენ ჩემპიონატს. ამ მღვრიე წყალში კი გაჩემპიონების კარგი შანსი აქვს „ინტერს“ — კალჩოპოლიმ ხომ მას კონკურენტები ჩამოაცილა.



## უიჰე! სერია A A კლუბის გარეშე



# უპრინმა და დინამო პარასკევი თქვენს



ნაკრებსაც თავკაცობდა, უფრო ადრე კი, მოგეხსენებათ, ჩეხეთის ეროვნული გუნდისა და ამ ქვეყნის ყველაზე ცნობილი კლუბის, პრადის „სპარტას“ დამრიგებელი გახლდათ.

შეგახსენებთ, დუმან უპრინის ხელში ჩეხეთის ნაკრებმა ევრო 1996-ის ფინალში იტალიას და გერმანიასთან დამატებით დროში „ოქროს გოლით“ წააგო. უპრინის გაწვრთნილმა „სპარტამ“ კი ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩეხეთის ჩემპიონატი და თასი.

მაშ ასე, თბილისის „დინამოში“ ახალი უცხოელის ერა იწყება. ასეთი დინამოსა და ასეთ ტიტულოვან მწვრთნელს აქამდე ქართულ გუნდში არ უმუშავია. ვნახოთ, როგორი წარმატება ექნება საქართველოში უპრინს. ისე კი, კარგი იქნება, „დინამოს“ სხვა კლუბებმაც მიჰბადონ და იქნებ სახელოვანი მწვრთნელების ჩამოყვანით მაინც ამაღლდეს ეროვნული ჩემპიონატის დონე.

ჩეხი მწვრთნელისთვის თბილისური დებიუტი ალბათ მისი ჩამოსვლიდან მეორე დღეს შედეგება. 17 სექტემბერს „დინამო“ „კახეთს“ მასპინძლობს.

კობა ინასარიძე

თბილისის „დინამოს“ და ჩეხი მწვრთნელის დუმან უპრინის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. 63 წლის სპეციალისტი თბილისში 16 სექტემბერს ჩამოვა, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს და მუშაობას შეუდგება.

დუმან უპრინი ამჟამად ჩეხეთშია და საქართველოში გამოგზავრებადღე პირად საქმეებს აგვარებს. ეს ცნობილი მწვრთნელი ბოლოს შვედეთისა და კვიპროსის კლუბებში საქმიანობდა, იქამდე ქუვეითის

## მილანში კალაძე ლაპარაკობენ

### გახდება კახა ვიცე-პაპიტანი?

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე, შესაძლოა, იტალიური „მილანის“ ვიცე-კაპიტნად აირჩიონ. ამის თაობაზე უკვე დაიწერა იტალიურ პრესაში.

„მართალია. შესაძლოა, ასეც მოხდეს. უკვე მეშვიდე წელია, გუნდში ვარ და, მგონი, ჩემი კაპიტნობა გასაკვირიც არ უნდა იყოს“ — განაცხადა კახამ, ვინც რამდენიმე დღის წინ „მილანთან“ კონტრაქტი ხუთი წლით გააგრძელა.


აღვნიშნოთ, რომ კალაძემ ერთხელ უკვე უკაპიტნა „მილანს“ — შარშან ერთ-ერთ მატჩში კარლო ანჩელოტიმ ანდრეი შევჩენკო შეცვალა და მანაც სამკლავური ჩვენთან გადსცა. ახლა შევჩენკო ინგლისური „ჩელსის“ ფეხბურთელია, დარჩენილთაგან კი კახა ერთ-ერთი ყველაზე „ძველი“ მილანელია.

აბა, რა შეხსენება გკირდებათ, რომ შავ-წითლების კაპიტანი პაოლო მალდინია.

კახა ზალაგზიანი



კახა კალაძე შესაძლოა, ბალო მალდინის „მემკვიდრე“ გახდეს



ანდრეი შევჩენკოს ქართულ დაცვასთან გაუჭირდა

## ანდრეი შევჩენკო: საქართველო კალიან მოგეწონა

საქართველოსთან მატჩში უკრაინელთა კაპიტანმა ანდრეი შევჩენკომ თავისი 32-ე სანაკრებო გოლი გაიტანა. მსოფლიო ფეხბურთის სუპერგარსკვლავმა ერთი საგოლე პასიც გააკეთა, როცა მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს...

რა შთაბეჭდილება დარჩა შევჩენკოს 6 სექტემბრის კიევურ მატჩზე და რას ამბობს საქართველოს ნაკრებზე? ამ ყველაფერს მასთან ინტერვიუდან გაიგებთ...

— ქართველებს ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე შარშან, 3 სექტემბერს შეხვდით. ახლანდელსა და მაშინდელ თამაშებს შორის დიდი განსხვავებაა?

— თამაშების ხასიათი სხვადასხვანაირი იყო. ხოლო თუ მაინც შედარებაზე მივდგება საქმე, თბილისში უფრო პრინციპული მატჩი გექონდა, ვიდრე ახლა. მაშინ ხომ, მოგების შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ვაძლევდით ვინააღმდეგ. მერე ისე წავიდა საქმე, რომ ის 1:1-იც გვეყო... ახლა კი სხვა სიტუაციაა — ჩვენ ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყო და, მართალია, ქართველებმა ჩვენთან შეხვედრამდე ოთხი დღით ადრე ფრანგებთან 0:3 წააგეს, მათ მაინც შეძლეს მობილიზება და ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ახლა გაცილებით გაგვიჭირდა, ვიდრე შარშან, თბილისურ მატჩში.

— ვფიქრობ, ქართველებმა თამაში უფრო თამამად დაიწყეს, ვიდრე თქვენ. ასე იყო?

— შესაძლოა. ტრიბუნიდან უკეთესად გამოჩნდებოდა. მე კი იმას მივაქციე ყურადღება, რომ წინ საკმაოდ მჭიდროდ და ფრთხილად დაცვა მედგა, რისი გავლაც ძნელი გამოდგა. თან ქართველები დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადადიოდნენ, რისი წყალობითაც ჩვენს კართან ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა.

პირველი გოლი რომ გავიტანეთ, ცოტა დაეწყნარდით, მაგრამ მალევე გავითანაბრეს...

— ჩანს, მეტოქემ თქვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა...

— დიახ, საქართველოს ნაკრები მომეწონა. მათ ადრეც ჰყავდათ კარგი ფეხბურთელები, მაგრამ გამართულად ვერ თამაშობდნენ. ახლა კი ისინი მთელი 90 წუთის მანძილზე ცდილობდნენ, სათამაშო დისციპლინა დაეცვათ, მკაცრად თამაშობდნენ და ცვაში, არ დაივიწყეთ მათი იმპროვიზაციის უნარიც... ამიტომაც გავიჭირდა ასე.

— თან მეტოქე ბოლო წუთამდე არ დამცხრალა...

— ამიტომაც ვამბობ, რომ დამსახურება არც წაგებულს არ უნდა დაუუკარგოთ.

— 61-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — თქვენს მიერ ჩაწოდებულ საჯარიმოს როტანმა თავი წაჭკრა. როგორ გაიხსენებთ იმ გოლს?

— მგონი, არავისთვისაა საიდუმლო, რომ ფლანგურ ჯარიმებს ასეთნაირად უურტყამ. ეს ძალიან მოსახერხებელია თანაგუნდელებისთვის და პირიქით, ძალიან რთულია მეტოქისთვის.

— შესარჩევი ეტაპი მოგებით დაიწყო. რას გრძნობთ ახლა?

— ძალიან გახარებული ვარ და დიდი მოთმინებით დაველოდები მომდევნო მატჩს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს თემურ გიგუაშვილს დედის გარდაცვალების გამო

<b>ინგლისი</b> I ლიგა ტრანსერი 1:0 პრისტოლი
<b>იტალია</b> სერია B. I ტური არაციო 1:1 მანტოვა
<b>გერმანია</b> ჩრდილოეთი რეგიონალლიგა VII ტური ვუპერტალი 1:1 ფორტუნა სამხრეთი რეგიონალლიგა VII ტური ინგოლშტადტი 3:0 მიუნხაიმი (მ) თასი. I ეტაპი მუნაზარუპი 3:1 ბრანსფორტი სენდჰაუსენი 0:2 ფიურტი
<b>საფრანგეთი</b> II ლივიზიონი. VII ტური აიარო 0:0 ლე ავრი გასტია 1:1 დიჟონი ბრესტი 0:0 მონპელიე ბრანსონი 3:1 კრეტი გენოვი 2:1 ტურსი ისტრი 1:0 ბინგამი ლიზურნი 3:1 ნიორი რემსი 3:1 ამიენი
<b>ჰოლანდია</b> ერედივიზიონი. III ტური დენ ჰააგი 0:2 ბრედა ტვიენტი 2:2 როდა II ლივიზიონი. VI ტური აპელდორნი 1:1 ჰელმონდი კამპური 1:2 დენ ზუსხი ბრაფსხაპი 4:2 ვენლო ინდჰოვენი 3:1 ვოლენდამი ალმერი 2:5 ტელსტარი იგლსი 1:1 როზენდალი ჰარლემი 2:1 იმენი მასტრიხტი 4:2 ზოლდე ოსი 2:1 სიტარდი ვეინდამი 2:1 დორდრეხტი
<b>პორტუგალია</b> სუპერლიგა. II ტური ავეში 0:1 ბრაგა
<b>უგანდა</b> ალსვენსკა. XVII ტური განს 0:2 ჰელსინგბორგი სუპერლიგა. XXIII ტური ვასპი 1:3 აბივიდაბი
<b>ავსტრია</b> II ლივიზიონი. VII ტური ადვირა 1:4 ლიოპანი აუსტრია (მ) 2:1 პარნდორფი ლუშტანაუ 3:3 აუსტრია (ლ) გრატორნი 0:2 ლინცარი კაპფენბერგი 1:1 ჰარტბერგი შვანენშტადტი 1:0 პარნტანი
<b>ირლანდია</b> პრემიერლიგა XXII ტური დროვიდა 0:0 კორკი დუბლინი 0:0 სტ. პატრიკსი შოტარფორდი 3:0 ბრეი შელბურნი 2:0 ლონგფორდი
<b>სლოვაკეთი</b> I ლიგა IX ტური ინტარი 1:2 სენცი
<b>სლოვენია</b> I ლიგა. VII ტური ვაძორნი 2:4 პუბლიკაში
<b>პოლონეთი</b> I ლიგა. VI ტური პლოცკი 2:2 ვიჰივი არკა 1:1 ლეგია



# ჩემს ქუჩაზე ლოკომოტივს ქობაბოზენ

უკრაინა — საქართველოს 37-ე წუთი: შოთა არველაძის გოლი სოლოგოლად შეიძლება, ჩაითვალოს, მაგრამ იქამდე იყო მაღალხაზ ასატიანის მიერ ჩაშლილი შეტევა, სწრაფი გარბენი და პასი შოთასკენ. ამ მომენტში ერთხელაც დავერწმუნდით, როგორ წაადგებოდა ასათიანი ნახევარდაცვას, ის მოწოდებით შემტევია, მაგრამ დაცვაში თამაშობს. სწორედ აქ ჩნდება მეორე კითხვა: რა დღეში ჩავარდებოდა საქართველოს ნაკრების დაცვა უკრაინასთან მაღალხაზის გარეშე?

ასე დადგა კლაუს ტოპმიოლერი ორ წყალს შუა... ახლა კი ვრცელი და საინტერესო, მეტწილად არასაფხვბურთო თემებზე საუბარი ასათიანთან — ეს ინტერვიუ ერთ-ერთ რუსულ გაზეთში დაიბეჭდა და ჩვენ შემოკლებით გთავაზობთ...

## მაღალხაზ ასათიანი ავტობუსში დაწინაურდა

— ფეხბურთში ყველაზე მეტად რა არ გიყვართ?

— რომელ ფეხბურთელსაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა გეტყვით — სირბილი. ითამაშო და გოლი გაიტანო, კარგია. აი, ცხენივით აქეთ-იქით ჰყენება კი ვერაფერი სიამოვნებას.

— ჰყავს კერძი მაღალხაზ ასათიანს?

— რა თქმა უნდა. კერძი ან მაგალითი, როგორც ვნებავთ, ისე დაარქვით, მგონი, ყველას ჰყავს. ჩემთვის ასეთი ყოველთვის იყო დავით ყიფიანი. ის იყო დიდი მოთამაშე და ბრწყინვალე ადამიანი. თანამედროვეებიდან კი ყოველთვის მომწონდა რობერტო ბაჯო.

— მინდორზე გასვლის წინ რა აუცილებელ რიტუალს ასრულებთ?

— მართლმადიდებელი ვარ და თამაშის წინ პირველად ვიწერ.

— იღბლიანი ხართ?

— ვფიქრობ, კი. ჯერჯერობით, უფრო მიმართლებს. როცა რაღაც ძალიან ვინდა, ასეც ხდება! თუმცა, შესაძლოა, ეს გამართლება

კი არა, შრომის სანაცვლო ვილდოა.

— ხშირად ავლენთ თქვენს ქართულ ხასიათს?

— ემოციური ჩავარდნა ან აღზევება ყველას ახასიათებს, ფეხბურთელიც ადამიანია. მესმის, უხეშობას უხეშობით არ უნდა უპასუხო, მსაჯს არ უნდა ეკამათო, მაგრამ თავშეკავება ხანდახან შეუძლებელია. მერე ძლიერ განვიცდი, რომ ბიჭები დავაღალატე — ვთქვათ, პენალტი თუ ავაცილე, ყვეთელი ან წითელი ბარათი თუ მივიღე, ჩემს თავს ვუბრაზდები ხოლმე. ამაზე ვმუშაობ და გარკვეული წარმატებები უკვე მაქვს. ვფიქრობ, სრულიად გამოცდილი რომ ვიქნები, კიდევ უფრო თავშეკავებული ვაგხდები. მაგრამ თამაშში თამაშია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

— გუნდში რაიმე მეტსახელს გეძახიან?

— რაღაც განსაკუთრებულს არა, ყველა მაღალხაზს მეძახის. რა ვიცი, იქნებ აწი მომიგონონ. საკმაოდ სიტყვამაზეილი თანაგუნდელები მაყვს...



ბადრი კახიანი/სპორტ ფოტო

— ავტობუსში რა ადგილას ზიხართ ხოლმე?

— ახლა უკვე შუაში... ახლები თავიდან უკან სხედან და უმეტესად დუბლებში თამაშობენ.

— საქართველოში მოსკოვის „ლოკომოტივს“ ქობაბოზენ?

— მთლიანად საქართველოზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ქუთაისში კი ნაღდად ქობაბოზენ. ყველა ჩემი მეგობარი, ნათესავი, ახლობელი და მეზობელი თვალს ადევნებს „ლოკომოტივის“ თამაშებს.

— და თუ ქუთაისის „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ ერთმანეთს შეხვდნენ ევროტურნირებზე?

— ჩემი ქუჩა „ლოკომოტივის“ უგულშემატკივრებს... ისე, ჯერ შევხვდეთ და მერე გამოჩნდება ეს ამბავი.

— „ლოკომოტივი“ ეროვნებას ყურადღებას აქცევენ?

— არანაირად.

— ცხოვრებაში ბევრი გასართობია. ყვე-

ლაზე მეტად რა გსიამოვნებთ?

— ყველაფერი განწყობაზეა დამოკიდებული. კინოს ყურება ან წიგნის კითხვა, მანქანის ტარება ან პარკში თუ ზოოპარკში გასეირნება, კლუბში, დისკოთეკაზე თუ რესტორანში შესვლა. მთავარია, ერთფეროვნება არ იყოს. მოსკოვში კი ბევრი უცნობი ადგილია, სადაც ჯერ არ ვყოფილვარ.

— გოგონები არ გიხსენებია...

— ეს თავისთავად. აბა, როგორ შეიძლება ცხოვრება გოგონების გარეშე? მომწონს ლამაზი და ჭკვიანი გოგონები. თმის ფერს მნიშვნელობა არა აქვს. მარტო სილამაზე არაფერია, თუ უჭკუო და უხასიათოა.

— ქართველები, ცნობილი არიან დიდი და მზიარული სუფრებით...

— ეს არდადეგებზე ხდება, როცა ზამთარში ჩავდივარ საქართველოში. ერთმანეთს დიდხანს ვერ ვნახულობთ და მონატრებულები ვსხდებით სუფრასთან. მოდიან მეგობრები, ახლობლები და ჩვენებურად, ქართულად ვჭივობთ.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი  
იტალია vs ესპანეთი



## დამუშვილდი, რობერტო იტალია დონადონის ენდობა და ტოტის ეპიდრება

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ნაკრების თავკაც რობერტო დონადონის ბოლომდე ენდობა და მის გათავისუფლებას არ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ იტალიამ ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპი წარუმატებლად დაიწყო — ლიტვასთან საშინაო 1:1-ს საფრანგეთთან სტუმრად 1:3 წაგება დაუმატა და კინკლა ქულა აქვს.

„ჩვენ ავირჩიეთ დონადონი და მან კონტრაქტის ბოლომდე უნდა იმუშაოს ნაკრებში. ჩვენ დონადონის ვენდობით და მას შეუძლია, მშვიდად გააგრძელოს საქმე“ — განაცხადა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ახლო წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა დემეტრიო ალბერტინიმ.

ამასობაში ჩვენი უახლოესი მეტოქე (იტალიას 11 ოქტომბერს ვმასპინძლობთ) ჯერაც ცდილობს ფრანკოს ტოტის დაყოლიებას. დონადონი „რომას“ ვარსკვლავს ლამის ყო-

ველდე ურეკავს და ნაკრებში დაბრუნებას თხოვს, თუმცა ტოტიმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, ნაკრებს 2007 წლიდან თუ დაეუბრუნდებით.

„იტალიას სჭირდება თავისი ჩემპიონები. ვფიქრობ, ოქტომბერში ორ-სამ ლიდერს დავიბრუნებთ. ტოტის განცხადება ვიცი, მას წლეულს დაბრუნება არ სურს, რადგან ფიზიკურ ფორმას უჩივის, მაგრამ პარიზში ისიც გამოჩნდა, რომ არც სხვა ფეხბურთელები არიან გადასარევე ფორმაში. იტალიას ძალიან სჭირდება ტოტი“ — ამბობს რობერტო დონადონი.

იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ტოტის გარდა, უკრაინასთან და საქართველოსთან საოქტომბრო მატჩებში „სკუადრა აპურას“ ლუკა ტონი, ვინჩენცო იაკინტა და ალესანდრო დელ პიერო დაემატებიან.

ბაბა ზალაგბერიძე







# საქართველოში აგრილდა, ბოლნისში კი დასხება...

## პირველი ქვემო-ზემო იმერული

ჩაიარა სასექტემბრო სანაკრებო ბატალიებმა და შედარებით ღარიბ სანახაობას ვუბრუნდებით — დღეს ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურია. გინდა-არგინდა, ისევ საფრანგეთთან და უკრაინასთან მატჩებზე ვფიქრობთ, თუმცა ისიცაა, რომ ეროვნული ჩემპიონატი ამასთან პირდაპირ კავშირშია: ალბათ აქაც მოიძებნებიან ნაკრებისთვის საჭირო მოთამაშეები და შორს რომ არ წავიდეთ, იგივე საქართველო — რუსეთის 1:0 გავიხსენოთ, რამდენი ფეხბურთელი ათამაშა მაშინ ივო შუშაკმა ქართული კლუბებიდან? ძალიან ბევრი...



ჩემპიონატის ლიდერი „ამერი“ არგენტინელებით გაძლიერებულ „ბორჯომს“ დაუხვდება

ბევრი რომ არ გაგვიკრძალოს, ტურის მთავარი მატჩით დავიწყეთ: ბოლნისში უცხადადეო „სიონი“ გიორგი ყიფშიძის თავკაცობით დაუხვდება „დინამოს“, რომელსაც ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად არ დაწყებულა და უკვე ორი მარცხი „მოუქუჩებია“. ზუსტად დინამოსდარი სატურნირო ყოფა აქვთ ქვემოქართვლებსაც და ინტრიგას ესეც ზრდის.

წინა სეზონში სხვა იყო და ახლა სხვაა, მაგრამ გავიხსენოთ, რომ მაშინ „სიონი“ სწორედ „დინამოსთან“ კოკა მიკუჩაძის გატანილი ბრწყინვალე გოლით მიუახლოვდა ჩემპიონობას. ბოლნისელების მხარესაა „თამაზ სტეფანია“, რომელიც ძლიერი გუნდების სტუმრობისას ქომაგებით აზვირთდება ზოლმე და ამიტომაცაა, იქ მოგება ყველა მომხდურს რომ უჭირს.

შარშანდლისგან განსხვავებით, „სიონს“ კონტინგენტი დაუსუსტდა, „დინამოს“ კი პირიქით, ორი წამყვანი ფეხბურთელი სწორედ ბოლნისიდან (ლევან ხმალაძე და მიხეილ ხუციშვილი) შეემატა. ამ ტურში არა და, ერთ კვირაში თბილისელებს ჩეხური თავი დაედგმებათ ღუშან უჭრინის სახით.

გამოსარჩევია „ამერი“ — „ბორჯომიც“. კურორტელთა შვიდი არგენტინელი ლეგიონერი გუშინწინ ჩავიდა ბორჯომში და ვეჭვობთ, დალილ-დაქანცულები მინდორზე გავიდნენ. ამერელები კი ისეთ ფორმაში არიან...

გიორგი ჩიხრაძის გუნდი ლიდერია, ევროფორნტზე ხარისხიანი თამაშით მოხიბლა გულშემატკივარები

— ვითომ ბევრი ქართული გუნდი გაბედავდა გერმანულ „პერტასთან“ ტოლსწორად ბრძოლას?

მოკლედ, სასწაული უნდა მოხდეს, „ამერმა“ რომ ქულები დაკარგოს.

გუნდი, რომელსაც ჯერ გოლი არ გაუშვია, რუსთავეის „ოლიმპია“, თანაც გიორგი კიკნაძის ბიჭებმა ორი ურთულესი გასვლითი მატჩი მოილიეს („ხესტაფონთან“ და „სიონთან“). „ოლიმპს“ ღონიერი შემაღვენლობა ჰყავს და ეჭვი გვეპარება, მაინცდამაინც დებიუტანტ „მე-

რანთან“ წაიფორხილოს. ისე, „მერანი“ უცნაურად ირჯება, შინ აგებს, სტუმრად იგებს და ამ ტრადიციის მიხედვით, დღესაც უნდა დამარცხდეს.

ქვემო-ზემო იმერული დერბისაც მოვესწარი: „ხესტაფონი“ „მერანს“ ამბიციურ დებიუტანტ საჩხერის „ჩიხურას“ მასპინძლობს და ფავორიტადაც ითვლება. მით უმეტეს, ფეროელებს თემურ მახარაძე დაუბრუნდათ მწვრთნელად, ეს კაცი კი ეროვნული ჩემპიონატში მოგებებს ისეა დაჩვეული, როგორც

	თბილისი. 9 სექტემბერი. 16.30. ამერი	
<b>ამერი — ბორჯომი</b>		
მსაჯები: ბ. დოგრაშვილი, ს. სპიციანი, ო. მოლოდინაშვილი, ზვ. ასკაროლი		
	ქუთაისი. 9 სექტემბერი. 16.30. ტორპედო	
<b>ტორპედო — დილა</b>		
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, კ. ბერაძე, დ. სანოძე, თ. ხუჭუა		
	ბოლნისი. 9 სექტემბერი. 16.30. თამაზ სტეფანია	
<b>სიონი — დინამო</b>		
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, ა. ნონიკაშვილი		
	თელავი. 9 სექტემბერი. 16.30. ბივი ჩოხელი	
<b>კახეთი — ბათუმი</b>		
მსაჯები: ლ. ფანიშვილი, ზ. ასკაროლი, ი. ურუშაძე, დ. კურტანიძე		
	ზესტაფონი. 9 სექტემბერი. 16.30. ცინტარაშვილი	
<b>ზესტაფონი — რუსთაველი</b>		
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, გ. დოგრაშვილი, შ. ქუხილავა, ხ. გაგანიძე		
	თბილისი. 9 სექტემბერი. 16.30. მიხეილ მისხი	
<b>ლოკომოტივი — ვიზ ჯორჯია</b>		
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, ზ. ფიფია, ა. გუნთაძე, დ. კვეციანიძე		
	თბილისი. 9 სექტემბერი. 16.30. შავარდენი	
<b>მერანი — ოლიმპი</b>		
მსაჯები: მ. ბუჟელიშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. ბერულავა, ტ. არაბული		



ტურის მთავარი შეხლა ბოლნისშია: ახალი მწვრთნელის მომლოდინე „დინამო“ მწვრთნელჩამოშორებულ „სიონს“ სტუმრობს

თევი წყალს. საჩხერელებს დებიუტანტის კვალობაზე ფეხბურთელებიც კარგი ჰყავთ და მწვრთნელიც, მაგრამ თავადვე აცხადებენ, ამ სეზონში მაინცდამაინც ევროს-არბიელზე გასვლა არ დაგვისახავს მიზნათ.

ის დრო წავიდა, „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯიას“ დაძაბულობა ფონად რომ გასდევდა. ეს რკინიგზელთა ბრალია, 18-19 წლის ბიჭებით ძნელია ვიტელებთან წარმატება, მით უმეტეს, რომ ნესტორ მუშლაძის გუნდი ფორმაშია და ათქლიანი მარაგით მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

დავით იმედაშვილის არყოფნას „ვიტ ჯორჯიას“ დავით დიდმელაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, ზაზა სახოკია და სხვები არ ატყობენ. როგორი სათქმელია, აღმოჩენა უწოდო „ტორპედოს“, მაგრამ ოთხ ტურში თუ რევას ძოძუაშვილის გამოუცდელი ახალგაზრდები რვა ქულას მოიპოვებდნენ, ძნელად თუ ეგონა ვინმეს. სავარაუდოდ, „ტორპედოს“ დღეს 11 ქულა გაუხდება, რადგან შინ გორის „დილას“ ეთამაშება.

### ილია ნანობაშვილი

ამერი	4	4	0	0	9:1	12
ოლიმპი	4	3	1	0	9:0	10
ვიტ ჯორჯია	4	3	1	0	9:4	10
ტორპედო	4	2	2	0	3:1	8
ზესტაფონი	4	2	1	1	5:3	7
დინამო	4	2	0	2	9:4	6
სიონი	4	2	0	2	6:5	6
მერანი	4	2	0	2	6:9	6
ბორჯომი	4	1	1	2	7:8	4
ლოკომოტივი	4	1	1	2	4:5	4
ჩიხურა	4	1	1	2	3:5	4
ბათუმი	4	0	1	3	2:5	1
დილა	4	0	1	3	2:13	1
კახეთი	4	0	0	4	3:14	0





# ლურჯთვალა ბრეი უინ რუნი სკამიდანაც ურტყამს

**მანჩესტერის** რესტორან „პანაცეაში“ ჩხუბი მოსვლია უინ რუნის. რუნი იქ, საცოლე კოლინ მაკლფლინთან და მეგობრებთან ერთად ყოფილა სავაზმოდ და სწორედ იმ დროს, „პანაცეაში“ აწ „ბლეკბერნის“ ფეხბურთელი, 1999 წელს ნაკრებშიც მოთამაშე მაიკლ გრეი შესულა. გრეის რუნიანთ კამპანია რომ დაულანდაც, მათი სუფრისკენ წასულა, თავს წამოდგომია და ლაპარაკი გაუბამს.

მართ არცთუ ზრდილობიანი აზრების გამოთქმა დაიწყო: კოლინის მეგობრებთან ასე შეხუბრება, უინს არ მოეწონა და რამდენჯერმე სთხოვა მაიკლს იქაურობას გაშორებოდა. მერე მცირე ინციდენტი მოხდა. უინი ამბობს, რომ მაიკლის მიმართ წყენა აღარ აქვს.

მოკლედ, რუნის სუფრასთან მჯდარს უგლეჯია გრეისთვის და თვალის ჩაუღურჯებია. კიდევ ერთი შარი უინისთვის, რომელიც საკლუბო და სანაკრებო თამაშებშიც ჯერჯერობით დისკვალიფიცირებულია.

ირაკლი ბაჩყალიძე

# ხუთწლიანი შავ-ნითელი მოგაპალი



„მილანა“ და ანდრეა პირლომ ერთმანეთთან ურთიერთობის სიამოვნება ახალი კონტრაქტით გაიგრძელეს. ხუთშაბათს დადებული ხელშეკრულების თანახმად, პირლომ შავ-ნითელი ფორმით კიდევ ხუთი წელიწადი უნდა ითამაშოს.

დღეს უკვე 27 წლის პირლო „მილანში“ 2001 წელს მივიდა. მანამდე მას ნათამაშები ჰქონდა „ბრეშაში“, „რეჯინასა“ და „ინტერში“. შავ-ნითლების შემადგენლობაში პირლომ სერია A-ს 141 შეხვედრა ჩაატარა და 25 გოლი გაიტანა. რა შეხსენება უნდა იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების ტრიუმფში სწორედ პირლომ ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი და სულ პირველ შეხვედრაში, განის ნაკრების კარში გოლის გატანაც მოახერხა. მუნდიალზე გამართული შეიდი თამაშიდან სამში ანდრეა პირლო მატჩის გმირად დაასახელეს. ეს შეხვედრები გახლდათ ხსენებული მატჩი განასთან, ნახევარფინალი გერმანიასთან და ფინალი, რომელიც „სკუადრა აძურამ“ საფრანგეთს პენალტებით მოუგო.


გერმანია 2006-სზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა გამოკითხვაში პირლომ ზინედინ ზიდანისა და ფაბიო კანავაროს შემდეგ მესამე ადგილი მოიპოვა.

ბაჭუნა კვიციანი

# მისაც რამდენი შეგიკლიათ! მარადონას ფულს უბროვებენ

არბენტინულ ქალაქ მარდელ-პლატაში დიეგო მარადონას ძეგლი უნდა დაუდგან. ეს იდეა დიეგოს გულშემატიკვართა ამ ქალაქში მცხოვრებ ლაშქარს ეკუთვნის. გადაწყვეტილია, რომ ძეგლს, 1986 წლის დროინდელი ნამდვილი მარადონას ზუსტი იერსახე ექნება და ეცმება ნაკრების მაისურა. ავტორები მოსახლეობას პირდებიან, რომ გაიმეორებენ ყველა წვრილმანს, თმის ვარცხნილობით დაწყებული, თასმების შეკერის მისეული მანერით დამთავრებული, თუმცა ცხადია, იქნება განსხვავებაც — ძეგლი სიმაღლეში 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი უნდა იყოს.

გადაწყვეტილია ისიც, რომ მონუმენტი მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ფულით უნდა დაიდგას და ამიტომ, ავტორები ამწუთას ფულის აგროვებით გახლავან დაკავებულნი. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც თუნდაც ერთ კაპიკს გაიღებს ან რაიმე სხვა ფორმით მიიღებს პროექტში მონაწილეობას, გადაეცემა საგანგებო სერტიფიკატი და მისი სახელი მონუმენტის ფერხთ ამოიტვიფრება.



ბაჭუნა კვიციანი

# თეოდოროს ზავორაკის ნორვეგია გააბიჯებს

**საბარძნითის** ნაკრების კაპიტანი, ევროპის ჩემპიონი თეოდოროს ზავორაკისი სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს. ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვასილის გაგაცისმა განაცხადა.

34 წლის ნახევარმცველს რამდენიმე თვის წინ სურდა ეროვნული გუნდიდან წასვლა, მაგრამ გაგაცისმა და მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა გადააფიქრებინეს.

თუმცა მას შემდეგ, რაც გასულ თვეში ინგლისთან და წინა შაბათს მოლდოვასთან მატჩებში მხოლოდ თითო ტაიმი ათამაშეს, ზავორაკისი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა.

„სანამ ფედერაციის პრეზიდენტი ვიქნები, ვეცდები, ზავორაკისს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ადგილი გამოვუნახო. იგი მიხვდა, რომ წასვლის დროა, ამიტომ ვეძებთ მისთვის ისეთ სამუშაოს, რომელიც

მოეწონება. გვსურს, გუნდთან ერთად რაც შეიძლება დიდხანს იყოს, რადგან ნამდვილი ლიდერია“ — აღნიშნა გაგაცისმა.

თეოდოროს ზავორაკისი ამჟამად პაოკ-ში თამაშობს, სანაკრებო დებიუტი კი 12 წლის წინ ჰქონდა. ეროვნული გუნდის მაისურა 118-ჯერ მოურგია და ამ მხრივ საბერძნეთში პირველია. საინტერესოა, რომ მხოლოდ 101-ე მატჩში შეძლო პირველი გოლის გატანა (სულ სამი გაუტანია) და ეს დანიასთან, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მოახერხა.

34 წლის ნახევარმცველი, რომელსაც პაოკ-ის გარდა აეკ-ში, ინგლისურ „ლესტერში“ და იტალიურ „ბოლონიში“ უთამაშია, სავარაუდოდ, ბოლო სანაკრებო მატჩს ნორვეგიასთან ოქტომბერში, ათენში გამართავს.

ირაკლი ნინიძე



# გაბდენიკილი ეგორისტი

**ტომას პრავუნანი** შოტლანდიის ჩემპიონატს მადრიდის „რეალის“ ლანძღვით იწყებს. მოგეხსენებათ, დანიელმა ნახევარმცველმა ესპანეთის „სამეფო გუნდიდან“ „სელტიკიში“ გადასვლა გასულ კვირაში, ზედ სატრანსფერო სეზონის დასრულების წინ მოასწრო და ახლა, „ბერლინთან“ შეხვედრაში დებიუტი აქვს, მაგრამ მადრიდულ წყენას ვერ ივიწყებს.

„ჩამოვიდა კაქლო იტალიიდან და ისე, რომ ჩემი თამაში ნანახიც არ ჰქონდა, მომხალა, სხვა იდეები მაქვსო — დაიჩვილა გრავესენმა — ის ძალიან ცუდი ადამიანია, რომელმაც ერთი შანსიც კი არ მომცა მეტიც, რომ მელაპარაკებოდა, მეტისმეტად ამპარტაუნული ტონი ჰქონდა და სახელითაც კი არ მოუმართავს. ჩემს თვალში ის გაბღენძილი ეგოსტია“.

შემდეგ გრავესენს ყოფილ თანაგუნდელებზე ჰკითხეს.

„მადრიდელი კალაქტიკოსებიდან ზოგი, მართლა ერთი აუწერლად ნიჭიერია. მათ გვერდით თამაში საოცარი სიამოვნებაა, მაგრამ საკუთრივ გუნდი ხანდახან ჯგუფებად არის დაყოფილი, რადგან ლიდერობაზე სამ ფეხბურთელს ერთდროულად აქვს პრეტენზია“.



ბაჭუნა კვიციანი



# ზია დოდანა ლაზარონი სამხარეულოდან გააგდო



„ტრაბზონის“ ბრაზილიელი მწვრთნელი სებასტიანო ლაზარონი მოხსნეს და მის ნაცვლად ზია დოდანი დანიშნეს. ჩვენი გადაწყვეტილება მისტერ ლაზარონის შევატყობინეთ და ერთ-

მანეთს დავეშორდით. დოდანთან კი კონტრაქტი გააფორმეთ. იგი ადრეც მუშაობდა გუნდში და დაწყებულ საქმეს გააგრძელებს. მან კარგად იცის კლუბის სტრუქტურა, სამზარეულო და ფანებიც პა-

ტივს სცემენ“ — განაცხადა „ტრაბზონის“ პრეზიდენტმა ნური ალბაიჩქმა. ზია დოდანს კი გუნდი 2002-2004 წლებში გაუწვრთნია.

ამჟამად ტრაბზონელები მე-11 ადგილზე არიან, რადგან ოთხ ტურში ოთხ ქულაზე მეტი ვერ მოაგროვეს. სებასტიანო ლაზარონიმ „შავი ზღვის ქარიშხალი“ („ტრაბზონის“ მეტსახელია) სამი თვის წინ ჩაიბარა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ ვერაფრით გაახარა ქომაგები.

შეგახსენებთ, რომ უეფას თასზე თურქული გუნდი კვიპროსის „აპოელს“ შეხვდა და ორი მატჩის ჯამში მოუგო, თუმც საშინაო შეხვედრაში ქომაგთა უწესრიგობის გამო უეფამ დასაჯა — მომდევნო ეტაპის შეხვედრას შინ „ოსასუნასთან“ უმადურებლად გამართავს.

რომან თურძია

## აქვსნიშნა ჰეკინგი



„ჰანოვერის“ მთავარ მწვრთნელად დიტერ ჰეკინგი დანიშნეს, რომელიც „ალემანიაში“ მუშაობდა. იგი გასულ თვეში მოხსნილ პეტერ ნორიურერს შეცვლის. ნორიურერის წასვლის შემდეგ გუნდს დრო-

ებით მიხაელ შიონბერგი თავკაცობდა, ახლა კი ჰეკინგის თანამემძლე გახდება.

ჰანოვერელებს „ალემანიასთან“ რამდენიმე დღიანი მოლაპარაკება ჰქონდათ. გარიგება იმით დამთავრდა, რომ „ალემანია“ კომპენსაციის სახით ექვსნიშნა თანხას მიიღებს. დიტერ ჰეკინგს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებდა და მისი გაწვევება „ჰანოვერის“ საკმაოდ ძვირი დაუჯდა.

„მადლობა მინდა მოუხადო ალემანიელებს იმისთვის, რომ მათ ჩვენი წინადადება მიიღეს და მწვრთნელი დაგვიტოვეს. ამ გარიგებით ორივე კლუბი კმაყოფილია. მცირე დეტალები დარჩა შესათანხმებელი, რასაც მალე მოვაგვარებთ“ — განაცხადა „ჰანოვერის“ პრეზიდენტმა მარტინ კინდმა.

შეგახსენებთ, რომ ნორიურერის ხელში გუნდმა სამი მატჩი ითამაშა, სამივე წააგო, 11 გოლი გაუშვა და ბუნდესლიგის ფსკერზე დაეშვა.

41 წლის ჰეკინგი „ალემანიამდე“ „ლიუბეკში“ მუშაობდა.

გიორგი დარჯანია

## ინგლისი მბრანზე, ნოლი მბრანთან

ეს პირველად მოხდა, რომ დევიდ ბექემი ნაკრებს გარეთ დარჩა.

ინგლისელთა ოდინდელი კაპიტანი ახლა ცოლ ვიქტორიასთან ერთად ვენეციაშია და იქედან ილაპარაკა ამ ამბავზე.

სტივ მაკლარენი უბექემოდ თამაშობს და იგებს.

„იოლი არაა, როცა შენი ნაკრების თამაშს ტელევიზორში უყურებ — თქვა ბექემმა — მაგრამ გამარჯვება მაინც გახარებს“.

ბექემს ასევე ჰკითხეს, როცა სანაკრებო დღეებია და გუნდში არ გიძახებენ, გამოდის რომ ცოლთან მეტ დროს ატარებო, რაზეც 31 წლის ფეხბურთელმა მიუგო, ჩემ ცოლთან ყოველთვის ბევრ დროს ვატარებო.

მოკლედ, ნაკრებში არგამოძახება ვის ესია მოვინება, მაგრამ ბექემი არ იმჩნევს.

ირაკლი ბაგჩელიძე



## შეესირიბის გაგო მოსალოდნელი რი

უიფასა და ევროპულ კლუბებს შორის დაპირისპირება მოსალოდნელი მიზეზი: მსოფლიო ფეხბურთის შეფები მომავალი ანუ 2007-08 წლების სეზონისთვის ბრძანების გამოცემას აპირებენ, რომლის თანახმადაც ყოველ ევროპულ ლიგაში არ უნდა იყოს 18 გუნდზე მეტი.

ცნობილია, რომ ეს იდეა ფიფას პრეზიდენტმა ზუპ ბლატერმა საზოგადოებას, ივნისში გამართულ კონგრესზე გააცნო და მისივე შეიძინა მოწინააღმდეგეები — ინგლისი, ესპანეთი და იტალია. ამ ქვეყნების პირველი რეაქცია მართლა მეტისმეტად მწვავე იყო და ისინი ბლატერთან ღია ომსა და დაპირისპირებაზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ აი, გავიდა დრო და მათ,

საერთო წარმომადგენლის, ევროპის პროფესიულ საფეხბურთო ლიგათა კავშირის სახელით, გამოსავალზე დაიწყეს ლაპარაკი.

„ეს მსჯელობის საგანია, რომელიც ფიფამ საერთაშორისო კალენდრის გაიოლების მიზნით შემოიღო“ — წერია კავშირის განცხადებაში.

რა პრობლემების წინაშე დგანან კლუბები ამ შემცირების შემთხვევაში? მათ დააკლდებათ ორი საშინაო მატჩის შემოსავალი, ხოლო ფედერაციებსა და ლიგებს საორგანიზაციო საკითხები ექნებათ თავიდან მოსაგვარებელი. კერძოდ, გადასახედი გახდება სერია B-ს სევეუნდა დივიზიონისა და ინგლისური პირველი დივიზიონის სტრუქტურა.


გააუნა კედი

## ფაკეტის უკვდავსაყოფად

„ინტერმა“ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა — შეაღწევენ სურთ, ამერიიდან მათ შემადგენლობაში სამნომრიანი მაისურით აღარასოდეს არავინ ითამაშოს. მიზეზი: „ინტერში“ სამი ნომერი, ორშაბათს გარდაცვლილი ლეგენდარული ჯაჩინტო ფაკეტი გახლდათ და კლუბს მისი სახელის უკვდავყოფა სურს.

ჯაჩინტო ფაკეტი, რომელიც 64 წლისა აღესრულა, 1960-70-იან წლებში თამაშობდა ფეხბურთს. ფედერაციის კულუარებიდან გამოსული ხმების თანახმად, „ინტერის“ სურვილს დააკმაყოფილებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში მესამე ნომრით უკვე დარეგისტრირებულია ფეხბურთელი — ნიკოლა ბურდისო.

ნომერი ნომრად და ფაკეტის გარდაცვალებამ კლუბის პრეზიდენ-



ნტის სავარძელი დატოვა პატრონის გარეშე. ამბობენ, რომ ამ სავარძელს ისევე მეპატრონე მასიმო მორატი დაიკავეს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, საქმე უფროს ვაჟს ანჯელო მარიოს ჩააბაროს.

გააუნა კედი

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. უსარჩევნი ეტაპი**

ფილისყრის შედეგები	
სერბეთი	— შვედეთი
ჩეხეთი	— ბოსნია
რუსეთი	— პორტუგალია
საფრანგეთი	— ისრაელი
ინგლისი	— გერმანია
იტალია	— ესპანეთი
ბელგია	— ბულგარეთი

პირველი მატჩები გაიმართება 7-8 ოქტომბერს, ხოლო საპასუხოები 10-11 ოქტომბერს. წყვილებს შორის გამარჯვებულები გავლენ ფინალურ ეტაპზე, სადაც მათ მასპინძელი ჰოლანდია შეუერთდება. ჩემპიონატი 2007 წლის 10 ივნისს დაიწყება და 23 ივნისს დასრულდება.



# ამ სერიის იუვენტუსი ვეღარ ითავაზებს



„იუვენტუს“ სკუდერო ჩამოართვეს და „ინტერს“ მიართვეს

ამ ზაფხულს იტალიურმა ფეხბურთმა ბევრი რამ გადაიტანა. ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი კი გახდა და მთელმა ქვეყანამაც გაიხარა, მაგრამ ამას კალჩოპოლის განაჩენი მოჰყვა. „კალჩოს“ ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა სკანდალმა სერია A-ს ორი კვირით გადადება და დიდი აურზაური გამოიწვია. იტალიის ყველაზე სახელოვანი კლუბი ტურინის „იუვენტუსი“ სერია B-

## ინტერო

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

„იუვენტუსი“ სერია B-შია, „მილანი“ კი სეზონს მინუს რვა ქულით დაიწყო. ეს ყველაფერი „ინტერს“ ჩინებულ შანსს აძლევს, სკუდერო მოიგოს. თანაც ამ ზაფხულს გუნდში არაერთი კარგი ფეხბურთელი მივიდა, რომელთაგან ზლატან იბრაჰიმოვიჩის, პატრიკ ვიერას, ერნან კრეზოსა და ფაბიო გროსოს ხსენებაც კმარა.

## რომა

**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი

სპალეტის ხელში „რომაში“ გასულ სეზონში კარგი ფეხბურთით ითამაშა. გუნდი ახლა უფრო შეკრული და შეთამაშებული ჩანს. თანაც დედაქალაქელებმა, წესით, თავდამსხმელის ნაკლებობა აღარ უნდა განიცადონ, რადგან „ლუჩედან“ მირკო ვუჩინიჩი დაიმტკიცა ამასთანავე, „გლადიატორები“ დავიდ პიზაროთი გაძლიერდნენ. გუნდის ყველაზე სუსტი წერტილი, ალბათ, დაცვა იქნება.

## მილანი

**მწვრთნელი:** ჯარლო ანჩელოტი

„როსონერის“ შემადგენლობა უფრო სუსტია, ვიდრე შარშან იყო. მინუს რვა ქულასაც თუ გავითვალისწინებთ, ანჩელოტის შევირდებს სკუდეროს მოპოვება ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ უდავოდ იბრძობებიან. ყველა ელის „მილანის“ ახალწვეულების — 20 წლის იოან გურუსუფისა და ანდრეი შეჩენკოს შემცვლელად ნაყიდ რიკარდო ოლივეირას დებიუტს. დაცვა კი, წესით, „ინტერიდან“ გადმოსუ-

ლმა ვეტერანმა ჯუზეპე ფავალიმ უნდა გააძლიეროს.

## ჯიუვო

**მწვრთნელი:** ჯუზეპე პილონი

გასული სეზონი „კიევისთვის“ წარმატებული გამოდგა. თუმცა „იუვენტუსისა“ და „ფიორენტინას“ დასჯის გამო ბოძებული შანსი ვერონელებმა ვერ გამოიყენეს. „მფრინავი ვირები“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე სოფიის „ლევსკიმ“ არ შეუშვა. გუნდი ამ ზაფხულს სამმა წამყვანმა მოთამაშემ — ალბერტო ფონტანამ, დანიელე ფრანჩესკინიმ და ამაურიმ დატოვეს. სამაგიეროდ, დენის გოდეასი და ვინჩენცო სინინიანო მოვიდნენ.

## ვალერო

**მწვრთნელი:** ფრანჩესკო გვიდოლინი

ამ სეზონში სიცილიელთაგან ბევრს ელიან. გუნდი ფაბიო გროსომ კი დატოვა, მაგრამ აიძო დინა, ფაბიო სიმპლისიო და მარკ ბრეშინიანი მივიდნენ. ხოლო მწვრთნელად გვიდოლინი დაბრუნდა, რომელიც ოთხეულს უმიზნებს.

## ლივორნო

**მწვრთნელი:** დანიელე არიგონი

გასული სეზონი „ლივორნოსთვის“ ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ „სკუადრა აშურას“ ამჟამინდელი მწვრთნელის რობერტო დონადონის მოულოდნელი მოხსნის შემდეგ, გუნდში ვითარება აირია, რომლის დალაგებაც ახლა „კალიარის“ ყოფილ თავკაც დანიელე არიგონის მოუწევს. კლუბი ანტონიო ფილიპინით და სამუელ კუფურით გაძლიერდა.

ში დააქვეითეს. „ბებერი ქალბატონი“ ქვედა ლიგაში აქამდე არასოდეს ყოფილა. მილანის „ინტერი“ კი, რომელიც გასული სეზონის ჩემპიონად გამოაცხადეს, ერთადერთ კლუბად რჩება, ვინც უმაღლესი ლიგიდან არ გავარდნილა. ერთი სიტყვით, სკანდალის პერიპეტეციების აღწერა შორს წაგვიყვანს, ხოლო სერია A კარს მოგვადგა და საინტერესო სეზონს გვპირდება

## პარმა

**მწვრთნელი:** სტეფანო პიოლი

„ენიო ტარდინს“ ბინადართა მთავარი პრობლემა ისევ ფინანსური კრიზისია. ამის გამო, გუნდი არაერთ წამყვან მოთამაშეს შეეღია. ყიდვით კი ორი ფორვარდი — იგორ ბუდანი და ვიტალი კუტუზოვი იყიდა, თუმცა პარმელთა თავდასხმა მაინც სუსტად გამოიყურება. ერთი სიტყვით, გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელს მძიმე სეზონი ელის.

## ავოლო

**მწვრთნელი:** ჯიჯი ჯანი

გასულ სეზონში „ემპოლის“ ფრანჩესკო ტავანოს გოლების წყალობით ედგა სული, რომელმაც გუნდი დატოვა. წავიდა კრისტიან რიგანოც. ასე რომ, ჯიჯი ჯანის თავდასხმაში გარკვეული პრობლემები ექნება. მას „ატლანტადან“ ნაყიდი ლუკა საუდატის იმედი აქვს.

## ფიორენტინა

**მწვრთნელი:** ჩეხარე პრანდელი

ფლორენციელები მინუს 19 ქულით იწყებენ და მაქსიმუმი რაზაც შეიძლება, იოცნებონ, უეფას თასის საგზურია. „იემმა“ შეძლეს ლუკა ტონის შენარჩუნება. წასულ სტეფანო ფიორესა და კრისტიან ბრიკის კი მანუელე ბლანი და ფაბიო ლივერანი შეცვლიან.

## ასკოლი

**მწვრთნელი:** ატილიო ტესერი

გუნდი ისევ სერია A-ში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძობებს, რაც ადვილი არ იქნება. „ასკოლი“ ამ ზაფხულს სამმა ფეხბურთელმა

დატოვა, მისვლით კი მხოლოდ ვეტერანი გოლკიპერი ჯანლუკა პალიუკა მივიდა.

## უდინეზა

**მწვრთნელი:** ჯოვანი გატეონე

„ფრიულის“ ბინადრებმა ამ ზაფხულს გუნდი გაახალგაზრდავება სცადეს. რამდენიმე ვეტერანი გაუშვეს და ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი — „მესინას“ ყოფილი ნახევარმცველი გაეტანო დაგოსტინო და განელი ფორვარდი ასამოა გიანი დაიმტკიცა.

## სამპდორია

**მწვრთნელი:** ვალტერ ნოველინი

გამოცდილი ვალტერ ნოველინი ამ პოსტზე თავის მეხუთე სეზონს იწყებს, მაგრამ თუ გასული სეზონის შედეგს ვერ გააუმჯობესებს, მეექვსის დაწყების შანსი აღარ ექნება. გუნდის მთავარი ტონეტი, ვიტალი კუტუზოვმა და აიძო დინამ დატოვეს, თუმცა არანაკლები ფეხბურთელები მოვიდნენ — კრისტიან ტერლიცი, დანიელე ფრანჩესკინი და ფაბიო კალიარეა.

## რეჯინა

**მწვრთნელი:** ვალტერ მაცარი

გუნდი სეზონს მინუს 15 ქულით იწყებს. თანაც კაპიტანი ფრანჩესკო კოცა „სინეაში“ გაექცა. ასე რომ, სავარაუდოდ, რეჯო კალაბრიელები ამჯერად სერია A-ში ადგილის შენარჩუნებას ვეღარ შეძლებენ.

## ალბარო

**მწვრთნელი:** მარკო ჯამპაოლო

სარდინიელებმა გასულ სეზონში სერია A-ში დარჩენა დავიდ სუაზოს

22 გოლის წყალობით შეძლეს. არადა, გუნდმა სულ 42 ბურთი შეაგდო, ანუ გოლების ნახევარზე მეტი ჰონდურასელზე მოდის. „კალიარის“ ახლაც მისი იმედი აქვს, რადგან ზაფხულში რამდენიმე სარფიან შეთავაზებაზე თქვა უარი.

## სინეა

**მწვრთნელი:** მარიო ბერეტა

მარიო ბერეტას შეტყვის მოყვარული მწვრთნელის სახელი აქვს. შეძლებს თუ ვერა „პარმას“ ყოფილი თავკაცი „სინეასთან“ ერთადც შემტევი სტილით თამაშს, მალე გამოჩნდება. გუნდი ოთხი კარგი ფეხბურთელით — ფრანჩესკო კოცათი, ვინსენ კანდელათი, ვალერიო ბერტოტოთი და ალექს მანინგერით გაძლიერდა.

## ლაციო

**მწვრთნელი:** დელიო როსი

რომაელებს მძიმე სეზონი ელით. მინუს 15 ქულა ცოტა არ არის. თანაც გუნდი ოსმან დაბომ, ფაბიო ლივერანი და პაოლო დი კანიომ დატოვეს. შენაძენი კი ერთია — ნიგერიელი ფორვარდი სტეფან მაკინვა.

## მესინა

**მწვრთნელი:** ბრუნო ჯორდანო

სერია B-ში გავარდნილი „მესინა“ სერია A-ში „იუვენტუსის“ დაქვეითების გამო დააბრუნეს. უმაღლეს ლიგაში დარჩენის დიდი შანსი სიცილიელებს არ აქვთ, თუმცა კრისტიან რიგანოთი და მიცუ ოგარასავათი გაძლიერდნენ.

## აბატანა

**მწვრთნელი:** სტეფან აკოლანტეონო

სერია A-ში დაბრუნებული ბერგამოელები ელიტაში ადგილის შენარჩუნებას ეცდებიან. ამაში მათ ვეტერანი კრისტიან ვიერიც დაეხმარება. „ბობოს“ გარდა, კლუბი ნელსონ აბეიხონით, კრისტიანო ლონითა და ფერნანდო ტესონეთი გაძლიერდა.

## პაბანი

**მწვრთნელი:** პასკუალე მარინო

„კატანის“ დიდი ბრძოლა გადახდა სერია A-ში გადასასვლელად და ახლა კიდევ უფრო დიდი ბრძოლა მოუწევს დასარჩენად. გუნდი მნიშვნელოვნად დაასუსტა რობერტო დე ბერბის „ნაპოლიში“ წასვლამ. ამ ფორვარდს საკმაოდ ბევრი გოლი გაჰქონდა და ბევრ საგოლე პასსაც აკეთებდა.

## ტორინო

**მწვრთნელი:** ალბერტო ძაკერონი

„ტოროს“ ფანები სიხარულისგან მეტხრე ცაზე არიან. ისტორიაში პირველად, რომ ისინი სერია A-ში არიან, მათი თანაქალაქელი და მტერი „იუვენტუსი“ კი სერია B-ში. „ტორინომ“ უმაღლესი ლიგის საგზური ჯანი დე ბიაზის ხელში მოიპოვა, საკმაოდ უსახური, მაგრამ შედეგიანი ფეხბურთის თამაშით. ახლახან, ლე ბიაზი მოხსნეს და გუნდი ალბერტო ძაკერონის ჩააბარეს. გარდა ამისა, კლუბი ბევრი კარგი მოთამაშით გაძლიერდა და შეიძლება, გარკვეული სიურპრიზიც შემოგვთავაზოს.

გიორგი კაკაბაძე





# იზაქია. სერია A. 2006-2007



კარლო ანჩელოტის „მილანი“ შეგნეკოს გარეშე და მინუს რვა ქულით დაიწვეს

## ინტარი

მაკარაუბი	
1 ფრანჩესკო ტოლდო	02.12.71
12 ულიო სეზარი	03.09.79
22 პაოლო ორლანდონი	12.08.72
79 ფაბიან კარინი	26.12.79

მცვალაბი	
2 ივან კორდობა	11.08.76
3 ნიკოლას ბურდისო	12.04.81
4 ხავერდო დანელი	0.08.73
6 მაქსველი	7.08.81
11 ფაბიო გროსო	8.01.77
13 დუგლას მაიკონი	26.07.81
23 მარკო მატერაცი	19.08.73
25 ვალტერ სამუელი	23.03.78
77 მარკო ანდრეოლი	10.06.86

ნახვარმცვალაბი	
5 დეიან სტანკოვიჩი	11.09.78
7 ლუიზ ფიგუ	04.11.72
14 პატრიკ ვიერა	23.06.76
15 ოლივიე დაკური	25.09.74
19 ესტებან კამბიასო	18.08.80
